186
1967

58

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1967 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

10.502

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

2. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენების დღიან კვირაზე კომპლექსური გადაყვანის შესახებ
3. 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმატებით გამოზიდვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ
5. საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოსაცემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ

ეროვნული საჯ

6. რესპუბლიკაში ფოტომხატვრული და პოლიგრაფიული სამხატვრო პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
8. მაგარი ხორბლის მარცვლის, აგრეთვე ძლიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიში იმ ხორბლის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, მისი ხარისხის მიხედვით
9. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ახალი დებულების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ
10. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და სატიტულო სიების დამტკიცების შესახებ
11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

12. განკარგულება № 896-გ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეკონომიური სტიმულირება და ამაღლდეს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება საწარმოთა მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით, შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელდეს საბჭოთა მეურნეობების, საჯიშე მეურნეობებისა და ცხენსაშენების, მეფრინველეობის ფაბრიკების, სანერგეების, სასოფლო-სამეურნეო საცდელი და სასწავლო-საცდელი მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების თანდათანობითი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი მეურნეობანი უზრუნველყოფენ მთელი საწარმოო ხარჯების ანაზღაურებას, შემდგომი გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელებას (საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდებანი, ძირითადი ჯოგის ფორმირება, საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა და სხვ.), ფონდების შექმნას, აგრეთვე ბანკის კრედიტების დროზე დაბრუნებას საკუთარი სახსრების ხარჯზე.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაიყვანოს, ცდის სახით, 1968 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე ათი საბჭოთა მეურნეობა, ამასთან გაითვალისწინოს ეს ღონისძიება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად რესპუბლიკის 1968 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით.

შემდეგში ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებით საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან დაგეგმილ წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

3. დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ანაზღაურდება შესასყიდ ფასებში კოლმეურნეობებისათვის დაწესებული დანამატებით.

შენარჩუნებულ იქნას რეალიზაციის მოქმედი წესი და ანგარიშსწორების პირობები სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, სავაჭრო ქსელში პროდუქციის გაყიდვისა და უშუალოდ მომხმარებლებისათვის მიყიდვის დროს.

4. საჭიროდ ჩაითვალოს გაფართოვდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა. ამასთან დაკავშირებით, შემცირდეს გეგმის იმ მაჩვენებლების რიცხვი, რომლებსაც ამ მეურნეობებისათვის ამტკიცებენ ზემდგომი ორგანიზაციები, და განისაზღვროს ესენი შემდეგნაირ:

წარმოების დარგში — მოცულობა სახელმწიფოსათვის იმ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიყიდვისა ნატურალური გამოხატულებით, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობებში, ამის გარდა, — მოცულობა შესაბამის სახეობათა პროდუქციის (ჯიშიანი მოზარდეული, ხარისხოვანი თესლი, სარგავი მასალა და სხვ.) მიყიდვისა;

შრომის დარგში — ხელფასის საერთო ფონდი;

ფინანსების დარგში — მოგების საერთო თანხა, ასიგნებანი ბიუჯეტიდან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახდელი.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გეგმიანი მოგების საერთო თანხას განსაზღვრავენ ეს მეურნეობები და დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო. ამ მეურნეობებისათვის აღნიშნული წესით დამტკიცებული მოგების თანხა გათვალისწინებული იქნება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას;

კაპიტალურ დაბანდებათა დარგში — ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა; ძირითადი ფონდების გადაცემა საექსპლუატაციოდ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ფულადი გამოხატულებით;

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში — ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოწყობილობის, სასუქების, საშენ. მასალებისა და წარმოების იმ სხვა საშუალებათა მიწოდების მოცულობა, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაცია ანაწილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საწარმოების გეგმების დანარჩენ მაჩვენებლებს არ ამტკიცებენ ზემდგომი ორგანიზაციები, არაძედ შეიმუშავებენ თვით საწარმოები და საჭირო საანგარიშსწორებო მასალებად გამოიყენებენ საგეგმო ორგანოები გეგმების შედგენის დროს.

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და ეკონომიურად დააბუთებული კონცენტრაციის ძიზნით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საძიხისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, საჭიროების დროს შეიტანოს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმებში ცვლილებანი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ცალკეულ მეურნეობათა ძიზედვით, მათი სპეციალიზაციის გათვალისწიზებით, რესპუბლიკაძი ამ პროდუქციის შესყიდვის მოცულობის ფარგლებში, და წარმოუდგიზოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ძიხისტრთა საბჭოს.

აღნიშნული გეგმების შეცვლა წარმოებს შესაბამის მეურნეობათა თანხმობით; იძავდროულად შეიტანება გეგმაში საჭირო ცვლილებანი და სხვა მაჩვენებლები.

6. იმ მიზნით, რათა გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაინტერესება საწარმოო ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებით, დაწესდეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საწარმოებს ძეაქვთ ფაქტიურად მიღებული მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოო ძირითადი ფონდებისათვის, ამ ფონდების ღიებულების ერთი პროცენტის რაოდენობით (გარდა პროდუქტიული და ძუშაპირუტყვის და ძრავალწლიანი ნარგავების ღირებულებისა). ორ გადახდებათ ორი წლის განმავლობაში გადასახდელი ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის, რომლებიც შექმნილია მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდების ხარჯზე და ბანკის კრედიტების ხარჯზე, — სესხის დაფარვამდე, აგრეთვე იმ საცდელ წარმოებათა (საამქროები, უბნები, დანადგარები) ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ შესაბამისი დარგის საჭიროებებს, და საწარმოთა ბალანსზე რიცხული გარეგანი საკანალიზაციო ნაგებობებისათვის. საწარმოები, რომელთა რენტაბელობა შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების 25 პროცენტზე ნაკლებს, თავისუფლდებიან ფონდების გადასახდელისაგან.

7. დაწესდეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის საბიუჯეტო გადასახდელის ოდენობის დადგენის შემდეგ აწარმოებენ სახსრების გადარიცხვას — მოგების საერთო თანხიდან:

გეგმიანი მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონდში — 15 პროცენტი, ხოლო ზეგეგმითი მოგებიდან ანარიცხების აღნიშნული ნორმა შემცირდება

ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით 50 პროცენტამდე, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ ანარიცხთა საერთო თანხა არ აღემატებოდეს ხელფასის წლიური ფონდის 12 პროცენტს;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში — 10 პროცენტი;

სადაზღვევო ფონდში — 20 პროცენტი;

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში — 10 პროცენტი.

მოგების დანარჩენი ნაწილი მოხმარდება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ხაზით პრემიების გაცემას, საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდის დაფინანსებას, ძირითადი ჯოგის ფორმირებას, ბანკის კრედიტების დაფარვას, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და სხვა ხარჯების დაფარვას.

თანხების გადარიცხვა მატერიალური წახალისების ფონდში წლის განმავლობაში ხდება ყოველკვარტალურად (ავანსის სახით), იმ მოგების 5 პროცენტამდე, რომელიც გათვალისწინებულია საწარმოო-საფინანსო გეგმით მოცემული კვარტალისათვის და უნდა განაწილდეს, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ ანარიცხების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის კვარტალური ფონდის 6 პროცენტს, რაც შემდგომ გადაანგარიშებულ უნდა იქნას წლიური ანგარიშით ფაქტიურ მოგებაზე.

8. დაწესდეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოგებისა და სხვა საკუთარი რესურსების ხარჯზე შექმნილი ფონდები გამოყენებული იქნება:

ა) მატერიალური წახალისების ფონდი:

მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიის მუშაკთა დასაჯილდოებლად;

მუშებისა, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა, მოსამსახურეებისა და სხვა კატეგორიების მუშაკებისათვის გასამრჯელოს მისაცემად საწარმოს მუშაობის საერთო წლიური შედეგების მიხედვით;

შიგასამეურნეო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკებისათვის პრემიების მისაცემად;

საწარმოს მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

მატერიალური წახალისების ფონდის განაწილებას აღნიშნული მიმართულებებით, ფონდის ხარჯვის ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებას და ამ ფონდიდან მუშაკებისათვის პრემიებისა და სხვა თანხების ოდენობის განსაზღვრას ეწევა საწარმოს ადმინისტრაცია პროფკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობით;

ბ) სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი:

საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საექიმო-სანიტარული დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის მედიკამენტების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურე-

ბის შესაძენად; სასადილოებისა და ბუფეტების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, კლუბების, საბავშვო დაწესებულებების ოსაწყობად და მათთვის სატრანსპორტო საშუალებებისა და ინვენტარის შესაძენად; ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის, საბავშვო ბაღებში, ბაგებში, პიონერთა ბანაკებში მყოფ ბავშვთა კვების გასაძლიერებლად და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის;

საელეფონო გეგმის გადამეტებით წარმოებული მშენებლობისათვის, საცხოვრებელი სახლების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სასადილოებისა და ბუფეტების, სპორტული ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

საწარმოს შეუძლია გამოიყენოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ერთობლივ ძეხებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე აშენებულ მთელ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლებული იქნებიან საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით დაქტიკებულ სიაში შეტანილი პირები, რაც შემდგომ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდს აღნიშნული მიმართულებით გაანაწილებს და ხარჯების ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს საწარმოს ადმინისტრაცია პროფკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობით;

გ) სადაზღვევო ფონდი:

სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის ხარჯებისა და ზარალის დასაფარავად და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისადმი გადაუხდელი იმ დავალიანების დაფარვას, რომელიც იმის შედეგად შეიქმნა, რომ პროდუქცია ნაკლები იყო მიღებული არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო.

სადაზღვევო ფონდში ანარიცხების საერთო თანხიდან 50 პროცენტამდე (შესაბამისი სამინისტროს დადგენილებით, ცალკეული ზონების კლიმატური პირობების მიხედვით) რჩება მეურნეობის განკარგულებაში, ხოლო დანარჩენი თანხა გადაირიცხება სამინისტროს ფონდში საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაქვემდებარების მიხედვით იმ მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურებით ან იმის შედეგად, რომ ნაკლები იყო მიღებული პროდუქცია წარმოებისათვის არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო.

სამი წლის განმავლობაში გამოუყენებელი საადაზღვევო ფონდის სახსრები **ჩამოერთმევა საწარმოს შესაბამისი სამინისტროების ცენტრალიზებულ ფონდ-**

ში ერთწლიანი ანარიცხების ოდენობით საწარმოთა დაქვემდებარების მიხედვით;

დ) მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი:

საწარმოო დანიშნულების არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვის, მანქანებისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის, ძირითადი ფონდების განახლების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის სხვა ხარჯების დასაფინანსებლად, აგრეთვე წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება.

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი შეიქმნება მოგების ანარიცხების, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული და ზედმეტი ქონების — ძირითადი ფონდების რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების ხარჯზე, გარდა პირუტყვის დაწუნებისაგან მიღებული სახსრებისა, რომლებიც მოხმარდება ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯების დაფინანსებას.

აღნიშნულ ფონდში გადასაცემი საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობას განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები იმ საამორტიზაციო ანარიცხების 30 პროცენტის ფარგლებში, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი ფონდების სრულად აღდგენისათვის.

9. ძირითადი ჯოგის პირუტყვის დაწუნების, მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, აგრეთვე მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების საამორტიზაციო ანარიცხთა გამოუყენებელი ნაშთები გადადის შემდეგი წლისათვის და არ უნდა ჩამოერთვას საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

10. უფლება მიენიჭოთ სამინისტროებსა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს მოახდინონ ქვესაუწყებო საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდის ანარიცხების ოდენობის დიფერენციაცია იმ ანგარიშით, რომ მატერიალური წახალისების საერთო ფონდი არ აღემატებოდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოგების ანარიცხების 15 პროცენტს საშუალოდ სამინისტროსა და ტრესტის ხაზით და თვითეული საწარმოს ხელფასის წლიური ფონდის 12 პროცენტს.

11. უფლება მიენიჭოთ საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს გადაანაწილონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით სახსრები მატერიალური წახალისების ფონდსა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდს შორის, თვითეული ფონდის თანხის 20 პროცენტის ფარგლებში.

12. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფაქტიურად მიღებული მოგების თავისუფალ ნაშთს, ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის შეტანის და ეკონომიური სტიმულირების ფონდსა და სხვა ფონდებში თან-

ხების გადარიცხვის, გრძელვადიანი კრედიტებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად მიღებული კრედიტების დაფარვის. აგრეთვე მეურნეობის გეგმიანი დანახარჯების დაფარვის შემდეგ, ამოიღებენ სამინისტროები, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან ეს საწარმოები, რათა გადაანაწილონ იგი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ სხვა მეურნეობებს შორის, რომლებსაც აკლიათ საკუთარი სახსრები წარმოების განვითარებისათვის.

იმ მიზნით, რომ შეიქმნას საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაინტერესება მათ მიერ გამოუყენებელი მოგების სხვა მეურნეობებისათვის გადაცემით, ნებადართულ იქნას, რომ ამოსაღები მოგების თანხების 10 პროცენტამდე დარჩეს მეურნეობის განკარგულებაში და გადაირიცხოს ეს სახსრები დამატებით ეკონომიური სტიმულირების ფონდებში.

13. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური წახალისება მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე წარმოებს იმ პრემიების გადამეტებით, რომლებიც დაწესებულია მოქმედი დებულებებით შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების შესახებ.

14. დაწესდეს, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმებით სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, დაფინანსდება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

ა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებათა და მოწყობილობის შესაძენად, საწარმოო ობიექტების მშენებლობისა და საწარმოო დანიშნულების სხვა კაპიტალური დაბანდებებისათვის — მოგების, საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც ხმარდება ძირითადი ფონდებისა და სხვა საკუთარი სახსრების სრულ აღდგენას, ხოლო თუ ეს სახსრები საკმარისი არ იქნება — ცალკეულ წლებში აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტის ხარჯზე, რომელსაც იძლევა ბანკი იმ ვადებითა და პირობებში, რაც დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს დადგენილი წესით სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მოკლევადიანი კრედიტი საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი ჯოგის ფორმირების დასაფინანსებლად იმ გეგმიანი მოგების თანხების ოდენობით, რაც განკუთვნილია აღნიშნული მიზნებისათვის, იმ ანგარიშით, რომ დაიფაროს იგი წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული მოგებისა და სადაზღვევო ფონდის სახსრების ხარჯზე.

იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობებმა ვერ მიიღეს კაპიტალური დაბანდებებისათვის განკუთვნილი დაგეგმილი მოგება მათი საწარმოო საქმიანობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (ზემდგომი ორგანოების დადგენით), სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა მისცემს სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ დაწესებული დაკრედიტების ლიმიტის ფარგლებში სრულ სამე-

ურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, მათი შუამდგომლობით; გრძელვადიან კრედიტს 5 წლის ვადით;

ბ) საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების, სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობათა, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა ხარჯებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

გ) ახალი საწარმოების, მეფრინველეობის ფაბრიკების, საკვალსათბურო-სასათბურო კომბინატებისა და ღორის ხორცის, რძისა და მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სხვა პროდუქტების წარმოების კომპლექსების მშენებლობისათვის — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და იმ მოგების ხარჯზე, რომელიც მიღებულია სხვა საწარმოებისაგან გადანაწილების წესით.

15. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდა უზრუნველყოფილი იქნება ამ საწარმოთა მოგების, სხვა საკუთარი წყაროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების ხარჯზე.

16. პროდუქტიული და მუშაპირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯები უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საკუთარი სახსრების ანგარიშში (მოგება, დაწუნებული პირუტყვის რეალიზაციის ამონაგები და სხვა საკუთარი სახსრები), ხოლო, თუ საკუთარი სახსრები საკმარისი არ იქნა — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის ხარჯზე ორ წლამდე ვადით.

17. უფლება მიენიჭოთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს განსაზღვრონ კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობა მეურნეობებში შექმნილი ფონდების ხარჯზე.

დაწესდეს, რომ მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, აგრეთვე ბანკის კრედიტის ხარჯზე გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმით საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ხელფასის ფონდები. აღნიშნული კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულ უნდა იქნას საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებით (იმ მშენებლობის ნაწილში, რომელიც საიჯარო წესით ხორციელდება).

18. დაწესდეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, უზრუნველყოფენ რა სახელმწიფო გეგმის შესრულებას, დამოუკიდებლად წყვეტენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს, კერძოდ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმავენ წარმოების მოცულობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის იმ გეგმიან დავალებათა საფუძველზე, რომლებსაც საწარმოებს აცნობებენ ზემდგომი ორგანოები, აგრეთვე მეურნეობათა მიერ დამამზადებელ, სავაჭრო, გამსაღებელ ორგანიზაციებთან და სამრეწველო საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შესაძლებელია პროდუქციის გაყიდვა გეგმის გადამეტებით.

გეგმავენ შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულებას, მუშაკთა რაოდენობას და აწესებენ საწარმოს მართვის ყველაზე რაციონალურ სტრუქტურას;

იყენებენ დანახარჯების განხორციელების და პროდუქციის წარმოების მიხედვით ხელფასის ფონდის ეკონომიას, რაც მიღებულია წინა კვარტალში, ხელფასის გასაცემად შემდგომ კვარტალებში, აგრეთვე სესხულობენ შემდგომი კვარტალებიდან სახსრებს ხელფასის გასაცემად წლიური ფონდის ფარგლებში;

განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-სამმართველო მუშაკთა შტატებს ტიპობრივი შტატებისა და საშტატო ნორმატივების შესაბამისად, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს;

განსაზღვრავენ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობას;

დაუწესებენ, როგორც გამონაკლისი, წარმოებაში უშუალოდ დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, განყოფილებების, ფერმებისა და ბრიგადების მმართველებს ხელფასის დანამატებს თანამდებობრივი განაკვეთის (სატარიფო სარგოს) 30 პროცენტამდე, ხელფასის გეგმიანი ფონდის ფარგლებში, ამასთან იყენებენ ამ მიზნებისათვის საწარმოს ხელფასის გეგმიანი ფონდის 0,3 პროცენტამდე; მიავლინებენ საწარმოების მუშაკებს საჭიროების შემთხვევაში რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;

მიჰყიდიან სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს ზედმეტ გამოუყენებელ ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მუშა და პროდუქტიულ პირუტყვს, თესლს, საკვებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს, უკეთუ ზემდგომმა ორგანომ უარი განაცხადა ნამეტის გადანაწილებაზე, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ორგანოსაგან არ ყოფილა მიღებული პასუხი იმ დროიდან ერთი თვის ვადაში, რაც მას გაეგზავნა შეტყობინება ნამეტის არსებობის შესახებ;

შეიძენენ საშენ მასალებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან დაწესებულ ფასებში იმ ანგარიშით, რომ შენდებადი ობიექტების ღირებულება არ აღემატებოდეს სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას.

19. ნებადართულ იქნას, რომ მიეყიდოს საცალო სავაჭრო ქსელიდან, წვრილი საბითუმო ვაჭრობის ლიმიტში ჩაუთვლელად, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საწარმო-ტექნიკური დანიშნულების საქონელი და ინვენტარი საბავშვო დაწესებულებებისა, საერთო საცხოვრებლებისა და კლუბებისათვის უნაღდო ანგარიშსწორების წესით, 50 მანეთის ფარგლებში თითო ხარჯვისას.

20. ნება დაერთოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მიჰყიდონ

დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მიღებული ბოსტნეული, ნაყოფი, ხილი, ენკრა, ყურძენი და სხვა სწრაფფუჭდებადი პროდუქცია, აგრეთვე კარტოფილი და ფრინველი სახელმწიფო, კოოპერაციულ ორგანიზაციებს და გაჰყიდონ რესპუბლიკის ბაზრებში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ, მხარეთა შორის შეთანხმებით დაწესებულ ფასებში, ისე, რომ აღნიშნული პროდუქცია შეტანილ იქნას სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმის შესრულებაში (გარდა ბაზარში რეალიზებული პროდუქციისა). ამასთან დამამზადებელი ორგანიზაციები არ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის.

21. დაწესდეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საკუთარი საბრუნავი სახსრების შენარჩუნება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამ სახსრების დანაკლისი არ ყოფილა გამოწვეული მათი მიზეზით (სტიქიური უბედურება, გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა, ეპიზოოტიური დაავადებანი და სხვ.), ზემდგომი ორგანოების დადგენით, მოვალენი არიან აანაზღაურონ საკუთარი საბრუნავი სახსრებით შექმნილი დანაკლისი ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებითი მოგების მიღებას შემდგომ პერიოდებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე იმის ხარჯზე, რომ შემცირდეს დროებით (ორ წლამდე) მოგების ანარიცხები მეურნეობათა ფონდებში 30 პროცენტამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ დაწესებული დაკრედიტების ლიმიტის ფარგლებში კრედიტი ორ წლამდე ვადით საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად მათი ვალდებულებებით, რომ განახორციელებენ კონკრეტულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შევსებას.

22. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ დაკრედიტების დაწესებული ლიმიტის ფარგლებში სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს:

ა) გრძელვადიანი კრედიტი საწარმოო დანიშნულების ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის იმ ვადითა და იმ პირობებში, რაც დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის;

ბ) გრძელვადიანი კრედიტი იმ კაპიტალური დაბანდებებისათვის, რომლებიც ხორციელდება მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების ხარჯზე, როდესაც ეს სახსრები საკმარისი არ არის დასახულ ღონისძიებათა გასატარებლად, იმ ანგარიშით, რომ დაიფაროს იგი იმ დროიდან ექვსი წლის განმავლობაში, რაც ობიექტი გადაეცემა საექსპლუატაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კრედიტი საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობას აკლია სახსრები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში და მშენებლობის დაწყების დროისათვის მოიპოვება მის განსახორციელებლად საჭირო სახსრების არანაკლებ 50 პროცენტისა, იმ ანგარიშით, რომ დაიფაროს კრედიტი ორ წლამდე ვადაში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში შემოსული სახსრების ხარჯზე;

დ) კრედიტი ახალი ტექნიკის დანერგვის, მექანიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა გასატარებლად და წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის ხარჯებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ექვს თვემდე ვადით დღიდან პირველი სესხის გაცემისა, იმ პირობით, რომ ანაზღაურდეს დანახარჯები ამ ვადის ფარგლებში დაკრედიტებულ ღონისძიებათა განხორციელებისაგან მიღებული მოგების (ეკონომიის) ხარჯზე.

ე) მოკლევადიანი კრედიტი წარმოების სეზონური დანახარჯების დასაფარავად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შესაქმნელად საწარმოო-საფინანსო გეგმის თანახმად ისე, რომ მეურნეობამ დააზუსტოს შემოსავალი და გასავალი შესაბამისი კვარტალისათვის;

ვ) განუვადოს სესხთა დავალიანების დაფარვა ერთ წლამდე ვადით იმ შემთხვევებში, როდესაც ცალკეულმა საწარმოებმა მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ უზრუნველყვეს კრედიტის დაბრუნება დაწესებულ ვადებში.

ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გრძელვადიანი კრედიტები მიეცემათ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობაშია ანგარიშსწორება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან საწარმოო დანახარჯებისათვის წინათ მიღებულ სესხთა გამო.

დაწესდეს იმ მოკლევადიანი კრედიტით სარგებლობისათვის, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ მისცა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, პროცენტული განაკვეთი წლიური 3 პროცენტის რაოდენობით.

23. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლაში და მიიღონ საჭირო ზომები, რათა მტკიცედ იქნას დაცული სამეურნეო ანგარი-

შის ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას წარმოების ეკონომიურად, ანგარიშიანად გაძღოლაში, ამასთან არ დაუშვან სხვა ორგანიზაციების ჩარევა მათს მიმდინარე საწარმოო საქმიანობაში.

საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებმა არ დაუშვან ისეთი ხარჯები, რაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული მეურნეობის საქმიანობასთან, აგრეთვე უფასოდ დათმობა სხვა ორგანიზაციებისა და მათი მუშაკებისათვის საცხოვრებელი სადგომებისა, სატრანსპორტო საშუალებებისა, მასალებისა და სხვა მატერიალური ფასეულობებისა, გარდა იმ მომსახურების გაწევისა, რაც გათვალისწინებულია დებულებით სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორები ახორციელებენ, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, საწარმოს წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებებს, განაგებენ საწარმოს ქონებასა და საშუალებებს, ახორციელებენ მათს კომპეტენციაში შემავალ ოპერაციებს და პასუხისმგებელი არიან საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და საგეგმო, სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის.

24. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად 1969 წლის 1 იანვრამდე განაზოგადოს 1968 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილება და იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ მთავრობის დამატებით გადაწყვეტილებას, წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

25. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს:

ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს შეიმუშაონ სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცონ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის საჭირო დებულებანი და ინსტრუქციები საწარმოთა ფონდის

შექმნისა და გამოყენების შესახებ, აგრეთვე სხვა ნორმატიული, საგეგმო და საანგარიშო მასალები;

ბ) სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით შეიტანოს საჭირო ცვლილებანი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში, ამასთან დატოვოს მასში ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა საერთო პროდუქცია, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, შრომის ნაყოფიერება, მომუშავეთა რაოდენობა, საშუალო ხელფასი, პროდუქციის თვითღირებულება, წარმოების რენტაბელობა და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობის ეკონომიური შედეგების ანალიზისა და შეფასებისათვის;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — სამი თვის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა (გარდა იმ ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისა, რომლებიც დასაქმებული არიან სამუშაოებზე განყოფილებებში, ფერმებში და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე) დაჯილდოების ახალი წესის შემოღების შესახებ, ნაცვლად მოქმედი წესისა, რომლის მიხედვით წარმოებს ამ მუშაკთა დაჯილდოება ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის;

დ) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით საჭირო სახსრები საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ვადამდე დასაკრედიტებლად ამ დადგენილების 14-16, 21 და 22 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის და გადასცეს ეს სახსრები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს რესურსებად;

ნება დართეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაატაროს ათ საბჭოთა მეურნეობაში ცდა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების ცალკეული საკითხების შესწავლისა იმ პირობებში, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე, მიაღწიონ მათი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებას, ყოველნაირად სრულყონ წარმოების ტექნოლოგია, შრომის ორგანიზაცია, დანერგონ სამეურნეო ანგარიშის პრინციპები საწარმოთა მთელ საქმიანობაში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდება, მისი თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა რენტაბელობისა და მომგებიანობის ამაღლება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 11 ივლისი, № 459.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

2 საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე კომპლექსური გადაყვანის შესახებ

შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 199 დადგენილებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 7 აპრილის № 235 დადგენილებისა „საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 1 ივლისის (8295) გადაწყვეტილებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში კომპლე-

ქსური გადაყვანის ვადის შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების კომპლექსური გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე 1967 წლის 1 აგვისტოდან.

2. შენარჩუნებულ იქნას სამუშაო კვირის არსებული რეჟიმი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებისა; განუწყვეტელ სამუშაოებზე, სადაც გამოყენებულია ოთხბრიგადული გრაფიკები, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთა გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე წარმოების ხასიათისა და მუშაობის პირობების მიხედვით მიზანშეწონილი არ არის.

იმ საწარმოების, ორგანიზაციების, აგრეთვე მუშაკთა ცალკეული კატეგორიების ნუსხას, რომლებისთვისაც რჩება სამუშაო კვირის არსებული რეჟიმი, დააწესებენ სამინისტროები და უწყებები ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადამყვან კომისიასთან შეთანხმებით.

3. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თუ ეს გამოწვეულია საწარმოო აუცილებლობით, როგორც გამონაკლისი, სამუშაო კვირის ახალ რეჟიმზე გადაყვანის სხვა ვადა, მაგრამ არა უგვიანეს 1967 წლის 1 ნოემბრისა.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საოლქო პროფსაბჭოებთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად:

ა) განახორციელონ ქვესაუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე 1967 წლის 1 აგვისტოდან;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით დააწესონ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის გრაფიკები, აგრეთვე სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ყველაზე რაციონალური დრო, წარმოების ხასიათისა და მუშაკთა კოლექტივის ინტერესების გათვალისწინებით;

გ) უზრუნველყონ ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 199 დადგენილებით „საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განაგრძონ მუშაობა, რათა გამოიძებნოს შესაძლებლობანი მუშა-მოსამსახურეთა დამატებითი კონტინგენტის გადაყვანისა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე. აგრეთვე გამოვლინდეს იმის შესაძლებლობანი, რომ გადიდდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება მოქმედ სიმძლავრეთა და არსებული ნედლეულის რესურსების სრულად და ეფექტიანად გამოყენების ხარჯზე, რაც მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, კულტურის სამინისტრომ, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1967 წლის 1 აგვისტოდან საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კულტურისა და ხელოვნების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, ბავშვთა და სამედიცინო დაწესებულებების და სხვათა მუშაობის რეჟიმის შეცვლა, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების ახალი პირობების შესაბამისად.

7. რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აპარატის მუშაკები გადაყვანილ იქნან სამუშაო კვირის ახალ რეჟიმზე 1967 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 10 ივლისი, № 441.

3 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმატებით გამოზიდვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და შემდგომ განვითარდეს იგი, ამაღლდეს ტრანსპორტის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, მაქსიმალურად და ეფექტიანად იქნას გამოყენებული ავტოტრანსპორტი, მოხდეს ავტოკოლონებისა და მძღოლთა კოლექტივების მატერიალური წახალისება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს რესპუბლიკის ავტოკოლონებისა და მძღოლთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვაზე ავტოტრანსპორტის მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენებისათვის.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა იმ მოწინავე ავტოკოლონებისა და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებისათვის გადასაცემად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს 1967 წლის მოსავლის მწვანე ჩაის ფოთლის, მარცვლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თესლოვანი, კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის გამოზიდვაში, ამასთან მიეცეთ ფულადი პრემიები 300 მანეთის ოდენობით თვითეულ დროშაზე.

3. დაწესდეს, რომ გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ ავტოკოლონების და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, მარცვლის, ყურძნის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, თესლოვანი, კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის გამოზიდვისათვის თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

4. დამტკიცდეს დებულებანი „იმ ავტოკოლონების და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივების წასახალისებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების შესახებ, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვაში“ და „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების შესახებ“.

5. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება, „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების მიკუთვნება და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელის გადაცემა დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიას და კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს.

6. დაწესდეს, რომ ფულადი პრემიების მიცემა იმ ავტოკოლონების და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებისათვის, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვის საქმეში, წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაჯილდოების ფონდის სახსრების ხარჯზე, აგრეთვე დაეკისროს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა და სიგელების დამზადების ხარჯების ანაზღაურება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 5 აგვისტო, № 521.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 5 აგვისტოს № 521
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ავტოკოლონების და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების იმ კოლექტივების წასახალისებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების შესახებ, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვის საქმეში

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები მიენიჭებათ ავტოკოლონებისა და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებს 1967 წლის მოსავლის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, მარცვლის, ყურძნის, შაქრისჭარხლის, კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის და კარტოფილის აღებასა და გამოზიდვაზე თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება და ფულადი პრემიის მიცემა წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის და კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელთა წარმომადგენლები გადასცემენ ამ დროშებს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ იმ მოწინავე ავტოკოლონებისა და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებს, რომლებმაც მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს 1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვაში, როგორიცაა:

ტვირთზიდვის დავალებული მოცულობის შესრულება, როდესაც მიღწეულია რეზინის, საწვავისა და საცხები მასალების მომჭირნეობა;

შრომის ნაყოფიერების გადიდება, ავტოპარკის მაქსიმალურად გამოყენება და საავტომობილო ტრანსპორტის მოცდენის შემცირება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დროს;

ისეთი შემთხვევების აღკვეთა, როდესაც ხდება მოსავლის აღებისა და გამოზიდვისათვის გამოყოფილი საავტომობილო ტრანსპორტის მოცდენა სხვა ტვირთის გადასაზიდად;

უავარიო მუშაობის უზრუნველყოფა, ისე რომ არ იქნას დაშვებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და შრომის დისციპლინის დარღვევა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაზე;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა ტრანსპორტირების დროს.

4. შედეგების შეჯამების დროს გათვალისწინებული იქნება აგრეთვე მძღოლთა მუშაობის საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობა (ღამის გასათევი ადგილი, კვება, კულტურულ-მასობრივი მუშაობა).

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 5 აგვისტოს № 521
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების შესახებ

1. მიკუთვნება საპატიო წოდებისა „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებული“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელის მიცემა წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის და კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელებს გადასცემენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლები.

3. საპატიო წოდება „1967 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებული“ მიენიჭება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელები გადაეცემა საავტომობილო ტრანსპორტის მოწინავე მძღოლებს, ავტოკოლონებისა და სხვა სატრანსპორტო ქვედანაყოფების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომლებმაც ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს 1967 წლის მოსავლის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თესლოვანი, კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის აღებისა და გამოზიდვის მთელი სეზონის განმავლობაში, როგორიცაა:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვის საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით;

გარბენის კოეფიციენტების გამოყენების გეგმიან დავალებათა შესრულება;

სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობის მაქსიმალური გამოყენება ისე, რომ ისარგებლონ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მისაბმელებით და ავტომატარებლებით;

საავტომობილო ტრანსპორტის მოცდენის მაქსიმალურად შემცირება დატვირთვა--გადმოტვირთვის სამუშაოების დროს და ტვირთზიდვის დაწესებული გრაფიკის დაცვა;

ბენზინის, რეზინისა და სარემონტო საშუალებათა მომჭირნეობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაზიდვის დროს ტვირთის დაკარგვისა და მისი ხარისხის გაუარესების აღკვეთა;

ჩაბარებული ტექნიკის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა;

ინიციატივის გამოჩენა იქით და აქეთ მგზავრობისას მიმართულების სწორად შერჩევასა და მანძილის შემცირებაში;

საწარმოო-სატრანსპორტო დისციპლინის დარღვევის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და ავარიების აღმოფხვრა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4 საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების გაუმჯობესების, სატრანსპორტო ხარჯების შემცირების, ტვირთის მიტანის დაჩქარებისა და მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების პუნქტების ქსელის მაქსიმალურად გაფართოება ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საქმეში; უზრუნველყონ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ორგანიზაცია 1967-1970 წლებში, უწინარეს ყოვლისა:

ტვირთზიდვის ხაზით — რკინიგზის ყველა სადგურში, სადაც დატვირთვა-გადმოტვირთვის მოცულობა საერთო სარგებლობის ადგილებში შეადგენს ათ და მეტ ვაგონს დღე-ღამეში; საზღვაო ნავსადგურებში — ბათუმი და ფოთი; აეროპორტებში — თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი;

მგზავრთა გადაყვანისა და მოსახლეობის მომსახურების ხაზით — ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, გაგრაში, ბორჯომში, წყალტუბოში;

ბ) ჩაატარონ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების პუნქტებში დატვირთვა-გადმოტვირთვის ფრონტების გაფართოების, რკინიგზის სადგურების სატვირთო ეზოებში, საზღვაო ნავსადგურებსა და მათთან მისასვლელებში ტერიტორიების კეთილმოწყობის, აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის გაშლის სამუშაოები.

2. დაწესდეს, რომ რკინიგზის სადგურებში სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებას უნდა ახორციელებდნენ სარკინიგზო ტრანსპორტის ორგანოები, ხოლო საზღვაო ნავსადგურებსა და აეროპორტებში — საავტომობილო ტრანსპორტის ორგანოები.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

ა) ორი თვის ვადაში დააწესონ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ორგანიზაციის ან გაფართოების რიგითობა და ვადები რკინიგზის ცალკეული სადგურების, საზღვაო ნავსადგურებისა და აეროპორტების მიხედვით, მათი ტექნიკური მზადყოფნის კვალობაზე;

ბ) შეიმუშაონ სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორების და მათი მუშაობისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სტრუქტურა და შტატები და შესაბამისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სია შორეული რაიონების ცენტრებისა, სადაც 1968-1970 წლებში განზრახულია ავტოსადგურების გახსნა, რათა შეტანილ იქნან ისინი პირდაპირ შერეულ სარკინიგზო-საავტომობილო მიმოსვლაში, პირველ რიგში წულუკიძეში, ამბროლაურში, ახმეტაში, ქარელსა და ლაგოდეხში.

5. დაწესდეს, რომ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებისას რკინიგზის სადგურებში, საზღვაო ნავსადგურებსა და აეროპორტებში წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 878 დადგენილების მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

6. დაწესდეს, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებას, წარმოადგენენ ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთა მიმართ გადამზიდველებს და მათი ურთიერთობა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან განისაზღვრება სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების შესრულების წესებით და სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულებით, ხოლო მაგისტრალური ტრანსპორტის ორგანიზაციების მიმართ — ტვირთგამგზავნებს ან ტვირთმიმღებთ და მათი ურთიერთობის რეგულირება ხდება შესაბამისი სატრანსპორტო პირობების მიხედვით.

7. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ განახორციელონ საწარმოთა, ორგანი-

ზაციათა, დაწესებულებათა და მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება ყველა იმ ოპერაციის ანაზღაურების არსებული ტარიფების (განაკვეთების) მიხედვით, რომლებიც შედიან სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების კომპლექსში, გარდა საფასურისა საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვისა და გამოზიდვისათვის.

8. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის დამლევამდე იჯარით გამოუყოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სადგომები მოსახლეობის მომსახურების სატრანსპორტო სააგენტოების მოსაწყობად ლენინის სახელობის რაიონში (200-250 კვ. მეტრი) და შაუმიანის მოედანზე (100-150 კვ. მეტრი).

9. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს შეიმუშაოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით:

ა) სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების შესრულების წესები, რომლებიც ადგენენ გაწეული მომსახურების კომპლექსს და არეგულირებენ მხარეთა ურთიერთობასა და პასუხისმგებლობას ამ ოპერაციების შესრულების დროს;

ბ) სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ტიპობრივი ხელშეკრულებანი ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის დროს, რომლებსაც დადებენ ამ მომსახურების გამწევი ორგანიზაციები და რკინიგზის სადგურები, საზღვაო ნავსადგურები და აეროპორტები, აგრეთვე სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციები ტვირთმფლობელებთან;

გ) ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის ერთიანი ტარიფები (განაკვეთები) სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების ასანაზღაურებლად და მათი გამოყენების წესები იმ მომსახურების ტარიფების ჩათვლით, რომელიც მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ხაზით სრულდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 7 ივლისი, № 434.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოსაცემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ დაწესდეს მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურისათვის ჰონორარის განაკვეთი 120-180 მანეთის ფარგლებში საავტორო ფურცელში.

2. შემოღებულ იქნას ავტორების ტირაჟობრივი ანაზღაურება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის (მასობრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა 30 ათას ცალზე მეტი ტირაჟისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 60 ათას ცალზე მეტი ტირაჟისათვის — ჰონორარის 75 პროცენტი, მონოგრაფიებისა 15 ათას ცალზე მეტი ტირაჟისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 30 ათას ცალზე მეტი ტირაჟისათვის — ჰონორარის 75 პროცენტი, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოებისა 75 ათას ცალზე მეტი ტირაჟისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი).

3. დადგენილ იქნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურისათვის საავტორო ჰონორარის ანაზღაურების შემდეგი წესი: მასობრივ-პოლიტიკური წიგნისათვის ჰონორარი გაიცემა სრული ოდენობით პირველ 5 საავტორო ფურცელში, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისათვის 10 საავტორო ფურცელში, აღნიშნული მოცულობის გადამეტებით საავტორო ჰონორარი ფურცელში გაიცეს 25 პროცენტის რაოდენობით. უფლება მიენიჭოთ გამომცემლობებს აძლიონ აკორდულად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე საუკეთესო ბროშურების ავტორებს 4 ნაბეჭდ ფურცლამდე მოცულობით ჰონორარი 1200 მანეთამდე. რჩევა მიეცეთ გამომცემლობებს უფრო სრულად გამოიყენონ საავტორო ჰონორარის განაკვეთებში არსებული დიფერენციაცია ავტორთა ნაშრომის წასახალისებლად, გამოშვებული ლიტერატურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

4. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურისათვის საავტორო ჰონორარის ანაზღაურების ახალი წესი შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1967 წლის 1 ივლისიდან.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებისა „ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეხება მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 7 ივლისი, № 435.

6 რესპუბლიკაში ფოტომხატვრული და პოლიგრაფიული სამხატვრო პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ

ფოტომხატვრული და სამხატვრო პროდუქციის გამოშვების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები, რათა სისტემატურად შესრულდეს ფოტომხატვრული და სამხატვრო პროდუქციის გამოშვების გეგმიანი დავალებანი;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროდუქციის წარმოების გაფართოებას და მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

3. თავმოყრილ იქნას რესპუბლიკის ფოტომხატვრული პროდუქციის მთელი წარმოება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში; პოლიგრაფიული სამხატვრო პროდუქციის წარმოება — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოში; თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაციის მასალების გამოცემა — საქდესში; მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფოტოპორტრეტებისა — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში; კინომოღვაწეთა ფოტოპორტრეტების გამოცემა — საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს საქართველოს განყოფილებაში.

აეკრძალოს ყველა დანარჩენ სამინისტროს, უწყებასა და საზოგადოებას ფოტომხატვრული და სამხატვრო პროდუქციის წარმოება და გამოცემა.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს კულ-

ტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ, საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უცხოეთის ტურიზმის სამმართველომ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 32 დადგენილების შესრულებას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ფოტომხატვრული და სამხატვრო ნაწარმის ვაჭრობის მოწესრიგებას, აგრეთვე საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერებას უცხოელ ტურისტთა შორის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს მთლიანად და დროულად დააკმაყოფილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მოთხოვნილება ხარისხოვან ქაღალდზე, ქიმიკატებსა და სხვა მასალებზე, საწარმოო დავალების შესაბამისად.

6. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან დაინტერესებული უწყებები ფართო თემატიკის ფოტომასალებით, დაევალოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შექმნას სპეციალური სანეგატივო ფონდი — ფოტოთეკა. სადაც თავი მოუყაროს საუკეთესო ფერად და შავ-თეთრ ნეგატივებს, რომლებიც ასახავენ საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურის მიღწევებს, ხალხის ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, ქალაქებისა და სოფლების ხედებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს — პეიზაჟებს, კურორტებსა და კულტურის ძეგლებს, ფოტორეპროდუქციებს, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა პორტრეტებს და ა. შ.

მაღალმხატვრულ და პროფესიულ დონეზე შესრულებული ნეგატივების ფონდის შესაქმნელად, ნება დაერთოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მოიწვიოს ობიექტების გადასაღებად გარეშე, მაღალკვალიფიციური ფოტოოსტატები.

მოწვეულ რეპორტიორთა მუშაობის ანაზღაურება მოხდეს დამტკიცებული საფასარების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, გაუდიდდეს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს არასიობრივი შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი მიმდინარე წლის მეორე ნახევარში 5 ათასი მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 ივლისი, № 454.

7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ჩვეულებრივი გამოცემების რიგითი ნომრის განსაზღვრისას იანგარიშება მოცემული ნაწარმოების ყველა წინა გამოცემა, როგორც ჩვეულებრივი, ისე მასობრივი, რომელიც მანამდე გამოქვეყნდა იმავე ენაზე სსრ კავშირის ტერიტორიაზე. მასობრივი გამოცემები კი იანგარიშება ცალკე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 18 ივლისი, № 473.

8 მაგარი ხორბლის მარცვლის, აგრეთვე ძლიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიშის იმ ხორბლის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, მისი ხარისხის მიხედვით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 637 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, 1968 წლის მოსავლიდან დაწყებული, მაგარი ხორბლის მარცვლის, აგრეთვე ძლიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიშის იმ ხორბლის ანაზღაურების პირობები, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები წებოვანას შემცველობისა და ხარისხის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 25 ივლისი, № 488.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 25 ივლისის № 488
დადგენილების დანართი № 1

პ ი რ ო ბ ე ბ ი

მაგარი ხორბლის იმ მარცვლის ანაზღაურებისა მისი ხარისხის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები

1. მაგარი ხორბლის მარცვალი, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, ანაზღაურდება შესასყიდ (ჩასაბარებელ) ფასად, რაც აღემატება რბილი ხორბლის ფასს შემდეგი ოდენობით:

მაგარი ხორბლის კლასი	გადამეტების ოდენობა (პროცენტულად)
I	65
II	40
III	20

მაგარი ხორბლის მარცვალი, რომელიც ხარისხის მხრივ არ შეესაბამება III კლასს, ანაზღაურდება იმ ფასად, რაც 10 პროცენტით აღემატება რბილი ხორბლის ფასს.

2. მაგარი ხორბლის მარცვლისათვის ანგარიშსწორება იწარმოებს მოქმედი საბაზისო კონდიციების საფუძველზე; I, II და III კლასების მარცვალზე ფულადი დანამატები და ფასდაკლება ნატურალური წონისათვის არ გამოიყენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 25 ივლისის № 488
დადგენილების დანართი № 2

პ ი რ ო ბ ე ბ ი

ძლიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიშის ხორბლის იმ მარცვლის ანაზღაურებისა მისი ხარისხის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები

1. ძლიერი ჯიშის ხორბლის მარცვალი, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, ანაზღაურდება შესასყიდ (ჩასაბარებელ) ფასად, რაც აღემატება რბილი ხორბლის ფასს შემდეგი ოდენობით:

როდესაც შეიცავს ნედლ წებოვანას პირველი ჯგუფისა (პროცენტ.)	გადამეტების ოდენობა (პროცენტულად)
28-31	30
32 და მეტი	50

2. ყველაზე ძვირფასი ჯიშის ხორბლისა და ძლიერი ჯიშის ხორბლის მარცვალი წებოვანას შემცირებული შემცველობით ანაზღაურდება ისეთ ფასად, რაც 10 პროცენტით აღემატება რბილ ხორბალზე დაწესებულ ფასს იმ პირობით, თუ ამ ხორბლის მარცვალი შეიცავს ნედლ წებოვანას სულ ცოტა 25 პროცენტს ხარისხით არა უმცირეს მეორე ჯგუფისა.

3. ძლიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიშის ხორბლის მარცვლის ანაზღაურება წარმოებს იმ ჯიშების სიების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ახალი დებულების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

„საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის გრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 დეკემბრის № 696 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 549 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 აპრილის № 212 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამატების შესახებ“.

2. ვიდრე საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ახალი დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს ინსტრუქციას „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“, დროებით ძალაში დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 550 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია, სახელმწიფო ნოტარიატის ახალი დებულებიდან გამომდინარე ცვლილებათა გათვალისწინებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში მოამზადოს პროექტი ინსტრუქციისა „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“, რაც შეუთანხმოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 9 აგვისტო, № 528.

10 ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს შემდეგი წესი რესპუბლიკური სამინისტროების (უწყებების) და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, რომლებიც შედიან სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში და არ არიან ჩამოთვლილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების № 1 დანართში, მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცებისა (გარდა მშენებლობათა სატიტულო სიებისა, რომელთა დამტკიცების უფლება, სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად, მინიჭებული აქვთ საწარმოთა დირექტორებს), რომლებიც ხორციელდება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ა) საწარმოო დანიშნულების ახლადდასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონ მანეთამდეა — დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

ბ) საწარმოო დანიშნულების გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონი მანეთიდან 5 მილიონ მანეთამდეა დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონ მანეთამდეა, — დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

გ) სატიტულო სიებს ჭაბურღილების გათხრის, ნავთობისა და გაზის საბადოების, სარეწებისა და უბნების მოწყობის და მოქმედი მაგისტრალების ქსელებთან მათი შეერთების სამუშაოებისა, სამთო-კაპიტალური სამუშაოებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს მოქმედ შახტებში, ჭრილებში, მაღაროებსა და საბადოებში, ამ საწარმოებში ახალი ჰორიზონტების და მოქმედ საწარმოებში ტორფის მოპოვების უბნების მომზადების სამუშაოებისა, ისეთი სამუშაოებისა, რომლებიც სრულდება მერქნის დამზადების, გამოზიდვის, დაცურების და მოქმედ საწარმოებში გადაცვლის უზრუნველსაყოფად და ტყის აღდგენისა და დაცვის სამუშაოებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონ მანეთამდეა დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომი-

ური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

დ) საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ახლადდასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი მანეთი და მეტია, — დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონ მანეთამდეა, — დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთ. დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

ე) საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთი მილიონი მანეთი და მეტია, — დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონ მანეთამდეა, — დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

ვ) იმ მშენებლობებისა და ობიექტების სატიტულო სიებს, რომლებიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, დამტკიცდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის, გარდა იმ ობიექტების სატიტულო სიებისა, რომლებსაც სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად, ამტკიცებს საწარმოს დირექტორი.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილებით დაწესებულია, რომ:

ა) საწარმოო დანიშნულების ახლადდასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია, — დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით;

ბ) ყველა დარგის საწარმოო დანიშნულების გარდამავალ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთი და მეტია, — დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილება „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლო-

ბათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 აგვისტო, № 531.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 633

1967 წლის 10 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად საერთო-საკავშირო სამინისტროების და უწყებების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის, აგრეთვე № 1 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის გამოეყოფათ სახალხო-სამეურნეო გეგმებით სსრ კავშირის ამ სამინისტროებსა და უწყებებს, ამასთან კაპიტალური დაბანდებანი განაწილდება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით.

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან № 1 დანართში, კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფათ გეგმებით მხოლოდ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის. სსრ კავშირის ამ სამინისტროებისა და უწყებების სისტემის საწარმოო დანიშნულების დანარჩენი ობიექტებისათვის, აგრეთვე რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფათ სახალხო-სამეურნეო გეგმებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

2. დაწესდეს, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმებით გამოეყოფათ:

ა) საბინაო მშენებლობისა და № 2 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და მშენებლობათა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის — სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, ხოლო № 2 დანართში მოუხსენებელი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სამინისტროებისათვის (უწყებებისათვის) — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

ბ) კომუნალური მშენებლობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. კაპიტალური დაბანდებანი კომუნალური მეურნეობის ობიექტების ასაშენებლად სახახო დარგებისათვის, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის ობიექტების, აბანოებისა და სამრეცხაოების ასაშენებლად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ქალაქგარეთ და ქალაქებში, სადაც კომუნალური მეურნეობის ობიექტები, აბანოები და სამრეცხაოები იმყოფებიან ან უნდა იმყოფებოდნენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსზე, — გამოეყოფათ სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, აფთიაქების, კლუბების, კულტურის სასახლეების, ბიბლიოთეკების, თეატრების, კინოთეატრების, სპორტული ნაგებობების მშენებლობისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. კაპიტალური დაბანდებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სპორტულ ნაგებობათა ასაშენებლად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემის ქალაქგარეთ მდებარე საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის გამოეყოფათ სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობა მშენებლობის პროცესში მყოფ სამრეწველო საწარმოებთან და უწყებრივ საცხოვრებელ მასივებში შესაბამისი დარგის კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ამასთან ამ სკოლების მშენებლობის ხარჯები გაითვალისწინონ აღნიშნული საწარმოებისა და საცხოვრებელი მასივების ხარჯთაღრიცხვებით.

ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ვაჭრობის ობიექტების მშენებლობისათვის, რაც ხორციელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში. გამოეყოფათ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად მოსკოვის საქალაქო აღმასკომს და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომს, ამ ქალაქებში მდებარე იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და მშენებლობების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, რომლებისთვისაც უნდა ხორციელდებოდეს აღნიშნული მშენებლობა (გარდა კაპიტალური დაბანდებებისა საცხოვრებელი სახლების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ასაშენებლად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისა — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროსათვის);

დ) უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობისათვის—სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს (უშუალოდ დაქვემდებარებული სასწავლებლებისათვის) და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

ე) საშუალო სპეციალური სასწავლებლების ასაშენებლად, რომლებიც ამზადებენ კადრებს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე საფინანსო-ეკონომიური და სამართლებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

იმ საშუალო სპეციალური სასწავლებლების მშენებლობას და გაფართოებას, რომლებიც ამზადებენ კადრებს მრეწველობისათვის, მშენებლობისათვის, სასოფლო და სატყეო მეურნეობისათვის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გეოლოგიის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, — ახორციელებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საწარმოო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის იმ დარგების გასავითარებლად, რომლებისთვისაც წარმოებს სპეციალისტთა მომზადება ამ სასწავლებლებში.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობასა და გაფართოებას ახორციელებენ სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საწარმოო მშენებლობის იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გამოიყოფა სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის იმ დარგების გასავითარებლად, რომლებისთვისაც წარმოებს მუშათა კადრების მომზადება.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გააერთიანონ წილობრივი მონაწილეობის წესით კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხმარდება საშუალო სპეციალური სასწავლებლების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობას და გაფართოებას შესაბამისი დარგების სახსრების ხარჯზე;

ვ) პროფკავშირთა ტურისტული ბაზების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების მშენებლობისათვის — პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს;

ზ) თეატრების, ცირკების, სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების მშენებლობისათვის, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, — ამ სამინისტროს;

თ) სპორტული ნაგებობების, სასწავლებლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოს და სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების“ ცენტრალურ საბჭოს, — ამ ცენტრალურ საბჭოებს;

შენარჩუნებულ იქნას არსებული წესი კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა განათლების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისათვის სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით.

დაწესდეს, რომ კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის, 1968 წლიდან დაწყებული, გამოეყოფათ გეგმებით სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებას და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთლიანად ისე, რომ არ მოხდება მათი განაწილება მიმართულებათა მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ასაშენებლად ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა, ორგანიზაციისა და მშენებლობისათვის გათვალისწინებული იქნება სახალხო-სამეურნეო გეგმებით როგორც მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების კვალობაზე განაწილებით), ისე მთლიანად შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ მიხედვითაც.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა აუცილებელ შემთხვევაში „სოფლის მეურნეობის“ დარგის შიგნით რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტებზე შეიძლება შეცვალონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რაც იმავდროულად უნდა აცნობონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა:

გაითვალისწინონ იმ მშენებლობათა გეგმებით, რომლებიც ქალაქგარეთ ხორციელდება, კაპიტალური დაბანდებანი კომპლექსურად საწარმოო, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების ობიექტების და სპორტულ ნაგებობათა მშე-

ნებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ საწარმოს საექსპლუატაციოდ გადაცემის დროისათვის განხორციელდეს საჭირო რაოდენობით საცხოვრებელი სახლებისა და სხვა აღნიშნული ობიექტების მშენებლობა;

წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს იმავდროულად, რაც გაგზავნილი იქნება სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაწესებული ნუსხები ქალაქგარეთ მდებარე მშენებლობებისა, რომლებისთვისაც კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა უნდა ხორციელდებოდეს კომპლექსურად.

5. ქალაქების კომპლექსური და რაც შეიძლება მეტი ეკონომიური განაშენიანების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ასაშენებლად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის, რომლებიც ქალაქებში მდებარეობენ, იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული მშენებლობის ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, — გადასცენ სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა წილობრივი მონაწილეობის წესით მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებულ წინადადებებს იმ საცხოვრებელი სახლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის შესახებ, რომლებიც გადაეცემა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წილობრივი მონაწილეობის წესით, აგრეთვე ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში იმ საცხოვრებელი ფართობის ოდენობის და ადგილების რაოდენობის შესახებ, რაც მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა გამოუყონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებთან ერთად წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა საფუძველზე შემუშავებული წინადადებანი ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში იმ საცხოვრებელი ფართობის ოდენობისა და ადგილების რაოდენობის შესახებ, რაც მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა გამოუყონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მათ მიერ გადასაცემ კაპიტალურ დაბანდებათა პროპორციულად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაიფართოონ იმის პრაქტიკა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღამსკომებს დაეკისროთ საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ერთიანი შემკვეთის ფუნქციები;

6. დადგენილი იქნას შემდეგი წესი მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცებისა (გარდა მშენებლობათა სატიტულო სიებისა, რომელთა დამტკიცების

უფლება, სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად, მინიჭებული აქვთ საწარმოთა დირექტორებს):

ა) საწარმოო დანიშნულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია, დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით;

ბ) საწარმოო დანიშნულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომლებიც შედიან სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობაში, და რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1-დან 2,5 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონზე ნაკლებია, — დამტკიცდება იმ წესით, რასაც ისინი დაადგენენ;

№ 1 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები დაამტკიცებენ აღნიშნული წესით მათს სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობის სატიტულო სიებს, ხოლო სსრ კავშირის დანარჩენი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები — უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ მშენებლობათა სატიტულო სიებს;

გ) საწარმოო დანიშნულების იმ გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიებს, რომლებიც სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შედიან, დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით:

შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ქვანახშირისა და გაზის მრეწველობის, ენერგეტიკის და ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტის მშენებლობებისა, — რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 25 მილიონი მანეთი და მეტია;

მრეწველობის სხვა დარგების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის მშენებლობებისა, — რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთი და მეტია.

საწარმოო დანიშნულების გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შესაბამისად 25 მილიონ მანეთზე და 5 მილიონ მანეთზე ნაკლებია, დამტკიცდება იმ წესით, რასაც დაადგენენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

№ 1 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები დაამტკიცებენ აღნიშნული წესით მათ სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობის სატიტულო სიებს, ხოლო სსრ კავშირის დანარჩენი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები — მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ მშენებლობათა სატიტულო სიებს;

დ) რესპუბლიკური სამინისტროების (უწყებების) და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე იმ მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა

სატიტულო სიებს, რომლებიც შედიან № 1 დანართში მოუხსენებელი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში, დაამტკიცებენ:

ახლადდასაწყები მშენებლობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთი მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდეა,—მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონ მანეთზე ნაკლებია, — დამტკიცდება იმ წესით, რასაც ისინი დაადგენენ.

ყველა დარგის გარდამავალი მშენებლობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთი და მეტია, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონ მანეთზე ნაკლებია, — იმ წესით, რასაც დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

ე) იმ მშენებლობებისა და ობიექტების სატიტულო სიებს, რომლებიც ხორციელდება უცხოეთის ლიცენზიებით და კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე, — დაამტკიცებენ:

ახლადდასაწყები მშენებლობებისა და ობიექტებისა, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

გარდამავალი მშენებლობებისა და ობიექტებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთი და მეტია, — სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონ მანეთზე ნაკლებია, — სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ჩამოთვლილი არიან № 1 დანართში, დაამტკიცებენ აღნიშნული წესით მათ სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობის სატიტულო სიებს, ხოლო სსრ კავშირის დანარჩენი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები — უშუალოდ მათ დაქვემდებარებულ მშენებლობათა სატიტულო სიებს;

ვ) სატიტულო სიებს ჭაბურღილების გათხრის, ნავთობისა და გაზის საბადოების, სარეწებისა და უბნების მოწყობის და მოქმედი მაგისტრალების ქსელებთან მათი შეერთების სამუშაოებისა, სამთო-კაპიტალური სამუშაოებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს მოქმედ შახტებში, ჭრილებში, მაღაროებსა და საბადოებში, ამ საწარმოებში ახალი ჰორიზონტების და მოქმედ საწარმოებში ტორფის მოპოვების უბნების მომზადების სამუშაოებისა, ისეთი სამუშაოებისა, რომლებიც სრულდება მერქნის დამზადების, გამოზიდვის, დაცურების და მოქმედ საწარმოებში გადაცლის უზრუნველსაყოფად და ტყის აღდგენისა და დაცვის სამუშაოებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია, — დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო რომელთა სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულება 2,5 მანეთზე ნაკლებია, — დამტკიცდება იმ წესით, რასაც ისინი დაადგენენ.

სსრ კავშირის მოკავშირე-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან № 1 დანართში, აღნიშნული წესით დაამტკიცებენ მათ სისტემაში შემავალი ყველა ობიექტის სამუშაოთა სატიტულო სიებს, ხოლო სსრ კავშირის დანარჩენი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები — მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ობიექტებისა;

ზ) საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიები, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, დამტკიცდება იმ წესით, რასაც დაადგენენ სსრ კავშირის ის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომელთაც გამოეყოფათ კაპიტალური დაბანდებანი აღნიშნული მიზნებისათვის;

თ) ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობების (გარდა ადმინისტრაციული შენობებისა და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის), თეატრების, კინოთეატრების, კულტურისა და სპორტის სასახლეების, სტადიონების, საცურაო აუზების მშენებლობის სატიტულო სიებს, ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო კულტურისა და სპორტის სასახლეების, სტადიონებისა და საცურაო აუზების მშენებლობის სატიტულო სიებს ქალაქგარეთ მდებარე საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის, რომლებიც შედიან სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში, დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები;

ი) იმ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის სატიტულო სიებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოს, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების“ ცენტრალურ საბჭოს, — დაამტკიცებენ ეს ორგანიზაციები;

კ) იმ თეატრების, ცირკებისა და კულტურის სხვა ობიექტების სატიტულო სიებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, — დაამტკიცებს ეს სამინისტრო;

ლ) ადმინისტრაციულ შენობათა ახლადდასაწყები მშენებლობის სატიტულო სიებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის დაამტკიცებენ, შენობათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო გარდამავალი

მშენებლობების სატიტულო სიები დამტკიცდება იმ წესით, რასაც დაადგენენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

დაწესდეს, რომ:

ახლადდასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიები უნდა შემუშავდეს მშენებლობის მთელი პერიოდისათვის ისე, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი განაწილდეს წლების მიხედვით, მშენებლობის ხანგრძლიობის დაწესებული ნორმების შესაბამისად;

საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიებს მოსკოვის საქალაქო აღმასკომის ქვესაუწყებო ობიექტებისათვის დაამტკიცებს მოსკოვის საქალაქო აღმასკომი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის დადგენილი წესით, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა ობიექტების, აგრეთვე მეტროპოლიტენების მშენებლობის სატიტულო სიები დამტკიცდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით საწარმოო დანიშნულების მშენებლობებისათვის. ამასთან გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიები დამტკიცდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცის შესაბამისად.

7. დაწესდეს, რომ იმ მშენებლობებისა და ობიექტების სატიტულო სიები, რომლებიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, დამტკიცდება შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და ცენტრალური საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესით, გარდა იმ ობიექტების სატიტულო სიებისა, რომლებსაც, სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად, ამტკიცებენ საწარმოთა დირექტორები.

8. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე დამატებით შეიტანონ კაპიტალური მშენებლობის გეგმაში საწარმოო დანიშნულების მშენებლობები და ობიექტები, რომლებიც გადაცემული უნდა ყოფილიყო საექსპლუატაციოდ, მაგრამ ფაქტიურად არ ყოფილა გადაცემული წინა წელს, ამასთან შესაბამისად გაადიდონ საწარმოო სიმძლავრეთა, ობიექტების და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის მიმდინარე წლისათვის დაწესებული დავალებანი, აგრეთვე შეიტანონ საჭირო შესწორებანი მიმდინარე წლის ასამუშავებელი მშენებლობებისა და ობიექტების მოცულობაში მათთვის იმ სამუშაოთა მოცულობის დაზუსტებასთან დაკავშირებით, რომლებიც შესრულებულია წინა წელს.

უზრუნველყონ აღნიშნული მშენებლობები და ობიექტები დამატებითი კაპიტალური დაბანდებებით იმ სხვა მშენებლობებისა და ობიექტების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც საექსპლუატაციოდ არ უნდა გადა-

ეცეს, სსრ კავშირის სამინისტროსათვის ან უწყებისათვის დაწესებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის ფარგლებში.

იმ მშენებლობებისა და ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეცვლა, რომლებიც საიჯარო წესით ხორციელდება, წარმოებს შესაბამის გენერალურ მოიჯარე სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით;

ბ) გაუდიდონ საჭიროების შემთხვევაში წლის მანძილზე გენერალურ მოიჯარეებთან შეთანხმებით (საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ნაწილში) კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო დანიშნულების ცალკეულ მშენებლობებს, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, რისთვისაც შეუმცირონ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 10 პროცენტამდე საწარმოო დანიშნულების თვითეულ მშენებლობას, რომელიც გეგმას ვერ ასრულებს (იმ მშენებლობების ჩათვლით, რომელთა სატიტულო სიები დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით) ისე, რომ უცვლელი დარჩეს სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული დავალებანი;

გ) მოახმარონ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას კაპიტალური დაბანდებანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იმ საერთო მოცულობის 2,5 პროცენტამდე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სამინისტროსათვის ან უწყებისათვის საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად ისე, რომ არ შემცირდეს სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული დავალებანი.

№ 1 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები შეცვლიან კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას მშენებლობების, ობიექტების, დარგებისა და მიმართულებათა მიხედვით ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მიუხედავად კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის განაწილებისა, რაც დაწესებულია გეგმით მოკავშირე რესპუბლიკების იმავსახელწოდების სამინისტროებისათვის (უწყებებისათვის);

დ) გაუდიდონ საჭიროების დროს მიმდინარე წლის IV კვარტალში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები იმ მშენებლობებსა და ობიექტებს, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, იმ მშენებლობებისა და ობიექტებისათვის დაფინანსების გეგმების შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ, ისე, რომ არ შემცირდეს სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი;

№ 1 დანართში ჩამოთვლილი სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობებისა და ობიექტებისათვის დაფინანსების გეგმების აღნიშნული შეცვლა წარმოებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის განაწილებული კაპიტალურ დაბანდებათა ასიგნებანი მოკავშირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების იმავსახელწოდების სამინისტროებისათვის (უწყებებისათვის).

იმას, რომ ამ პუნქტის შესაბამისად შეიცვალა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, სიმძლავრეთა, ძირითადი ფონდების, ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი და მშენებლობათა იმ სატიტულო სიების მაჩვენებლები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ორი კვირის ვადაში აცნობებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

დაწესდეს, რომ კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობის შემცირება ამ პუნქტის შესაბამისად, არ შეიძლება მოხდეს იმ მშენებლობებისა და ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობა წარმოებს კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე, ანუ უცხოეთის ლიცენზიებით.

9. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ნება დართონ უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადასცენ წილობრივი მონაწილეობის წესით წყალმომარაგების, კანალიზაციის, გაზისა და თბომომარაგების, კავშირგაბმულობის ობიექტების, მისასვლელი გზებისა და ერთობლივი სარგებლობის სხვა ობიექტების მშენებლობისა, გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნით საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით (სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით) და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებით.

10. დაწესდეს, რომ:

კაპიტალურ დაბანდებათა ან მათი დაფინანსების ასიგნებათა მოცულობის გადანაწილება ამ დადგენილების შესაბამისად ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში, შეიძლება განახორციელონ სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით;

საწარმოო დანიშნულების მშენებლობებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას შეცვლიან ამ დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მიუხედავად კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებისა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებათა სისტემის ცალკეული დარგების მიხედვით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს საჭირო ცვლილებანი კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმების მაჩვენებლებსა და მოკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა კაპიტალურ დაბანდებათა ან მათი დაფინანსების ასიგნებათა მოცულობის გადანაწილება ამ დადგენილების შესაბამისად.

11. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისა, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმებით გამოეყოფათ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად მათ სისტემაში შემავალი ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და მშენებლობისათვის

სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის სამრეწველო შენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო
სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი.

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა წარმოებს ამ დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების
დანართი № 2

ნუსხა

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისა, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმებით გამოეყოფათ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის

საავიაციო მრეწველობის სამინისტრო
საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო
გაზის მრეწველობის სამინისტრო
სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო
მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მშენებლობის სამინისტრო
სამედიცინო მრეწველობის სამინისტრო

№4 ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვაო ფლოტის სამინისტრო
თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო
საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო
ხელსაწყომშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტრო
გზათა სამინისტრო
რადიომრეწველობის სამინისტრო
საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო
ჩარხმშენებლობისა და ინსტრუმენტული მრეწველობის სამინისტრო
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო
გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო
ქიმიური და სანავთობო მანქანათმშენებლობის სამინისტრო
ელექტრონული მრეწველობის სამინისტრო
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო (საერთო საცხოვრებლების ასაშენებლად უშუალოდ დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლებისათვის)
სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (უშუალოდ დაქვემდებარებული სამრეწველო საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის)
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო
სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო (უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის)

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი (უშუალოდ დაქვემდებარებული ტექნიკუმების საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტი (აღნიშნული კომიტეტებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამრეწველო საწარმოებისათვის)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა (საბინაო მშენებლობა)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო (სასასტუმრო მშენებლობა)

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსთან არსებული მთავარსპეცმშენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: საბინაო მშენებლობის და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მშენებლობებისათვის წარმოებს ამ დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

II სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებისა „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის № 372 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 სექტემბრის № 1559 დადგენილებისა „კაკალნაყოფიანთა ახალი ნარგავების შექმნისა და არსებული ნარგავების გამოყენების შესახებ“.

2. „სოფლის მეურნეობისათვის საანგარიშო დარგის მუშაკთა და მექანიზებული აღრიცხვის მუშაკთა მომზადების გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 ნოემბრის № 698 დადგენილების მე-11 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“.

II. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებით გაუქმებულია:

1. პუნქტი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 16 თებერვლის № 871 დადგენილებისა „კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების, მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების საქმის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის ზომების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-6 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ იმ სახსრების ოდენობის ნაწილში, რომლებიც გამოყოფილია ახალ სამეურნეო წელს გასაწევი ხარჯებისათვის. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 26 თებერვლის № 248 დადგენილებასთან ერთად.

2. „კოლმეურნეობებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

1954 წლის 9 მარტის № 402 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 მარტის № 301 განკარგულებასთან ერთად.

3. პუნქტი 9 „საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 25 თებერვლის № 317 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა საკოლმეურნეო ტყეების შესახებ, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 მარტის № 174 დადგენილებასთან ერთად.

4. პუნქტი 12 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 808 დადგენილებისა „ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 460 განკარგულებასთან ერთად.

5. პუნქტი 38 „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართისა „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად“. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებასთან ერთად.

6. პუნქტი 28 ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებების გათანაბრებასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილებით, რაც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 653 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 19 აგვისტო, № 542.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

12 განკარგულება № 896-გ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 18 ივლისი, № 896-გ

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 642

1967 წლის 10 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

გადაეცეს დამატებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდეგი საკითხები:

1. ნება დართონ, რომ დაფინანსდეს კაპიტალური მშენებლობა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების იმ ობიექტებისა, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის მეურნეობისათვის და რომელთა კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, წლიური საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, მიუხედავად მათი განაწილებისა კვარტალების მიხედვით.

2. გადაწყვიტონ სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით იმ სახსრების ცენტრალიზაციის საკითხები, რომლებსაც წარმართავენ სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო საბინაო მშენებლობისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის, აგრეთვე განსაზღვრონ მოცულობა საბინაო მშენებლობისა, რომლის შემკვეთის ფუნქციებს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

3. ნება დართონ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკის და ადგილობრივი დაქვემდებარების უწყებების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც მათ გამოეყოთ საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

4. წარმართონ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იმ საერთო მოცულობის 2,5 პროცენტამდე რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად, სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებულ დავალებათა შეუმცირებლად, რაც ორი კვირის ვადაში აცნობონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

5. გაუდიდონ საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების საწარმოო დანიშნულების ცალკეულ მშენებლობებს, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და რომლებისთვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რისთვისაც შეუმცირონ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 10 პროცენტამდე აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოო დანიშნულების თვითეულ მშენებლობას, რომელიც გეგმას ვერ ასრულებს (იმ მშენებლობის ჩათვლით, რომელთა სატიტულო სიები დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით). მიუხედავად კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებისა დარგების მიხედვით ისე, რომ უცვლელი დარჩეს სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული დავალებანი.

იმ შემთხვევებში, როდესაც მშენებლობას ახორციელებენ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მოიჯარე ორგანიზაციები, კაპიტალური მშენებლობების გეგმების შეცვლა საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა

მოცულობის ნაწილში წარმოებს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

6. გაუდიდონ საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე წლის IV კვარტალში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების მშენებლობებსა და ობიექტებს, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, და რომლებისთვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, იმ მშენებლობებისათვის დაფინანსების გეგმების შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ, ისე, რომ არ შემცირდეს სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი და კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობა.

7. გაუდიდონ საჭიროების დროს მიმდინარე წლის IV კვარტალში გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაფინანსების გეგმები რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ორგანიზაციებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ამ სამუშაოთა გეგმებს, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების იმ ორგანიზაციებისათვის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაფინანსების გეგმების შემცირების ხარჯზე, რომლებიც ამ სამუშაოთა გეგმებს ვერ ასრულებენ, ისე რომ არ შემცირდეს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წლიური მოცულობა, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ზრდის დავალებანი.

8. ნება დართონ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებს, რომლებისთვისაც პროდუქციის წარმოების გეგმას აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეიტანონ შემკვეთთან ან ფონდმქონესთან შეთანხმებით, მაგრამ კვარტალის დამთავრებამდე არა უგვიანეს 20 დღისა, ცვლილებანი პროდუქციის წარმოების გეგმებში და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული ორგანოებისათვის დამტკიცებული გეგმის სხვა მაჩვენებლებში კვარტალების მიხედვით, წლიური გეგმის მაჩვენებლების შეუცვლელად, რაც შემდგომ აცნობონ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს.

გეგმური დავალებების ასეთი ცვლილებანი საწარმოების მიხედვით შეიძლება მოხდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში, რისთვისაც ეს საკითხები წინასწარ განხილულ უნდა იქნას საწარმოების ადმინისტრაციასთან ერთად.

9. ნება დართონ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებს, რომლებისთვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს გამოუყონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხახსრები ტექნოლოგიური მოწყობილობის წინასამონტაჟო რევიზიების ჩასატარებლად, რომელთა საჭიროება წარმოიშვება მოწყობილობის ხანგრძლივ შენახვასთან დაკავშირებით, — კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ასიგნობათა ხარჯზე.

შესაბამისი ობიექტების მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში, იმ ანგარიშით, რომ ხარჯები მიეკუთვნოს მოწყობილობის ღირებულებას, აგრეთვე ნება დართონ მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შეიტანონ საჭირო შემთხვევებში საიჯარო სამუშაოთა პროგრამასა და შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში აღნიშნული მოწყობილობის წინასამონტაჟო რევიზიების ჩატარების ხარჯები.

10. ნება დართონ, რომ შესრულდეს შემდეგი სამუშაოები:

საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისა, სავაჭრო სადგომების, კომუნალური. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების ობიექტების რეკონსტრუქციისა, გაფართოებისა და კეთილმოწყობისა, ამ ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე;

ბიუჯეტზე მყოფი საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეკონსტრუქციისა, გაფართოებისა და კეთილმოწყობისა, ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის ხარჯზე, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეს სამუშაოები საჭირო მატერიალური რესურსებით.

11. ნება დართონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მოახდინონ ცენტრალიზაცია საამორტიზაციო ანარიცხებისა მათი ქვესაუწყებო კომუნალური საწარმოების კაპიტალური რემონტისათვის (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) აღნიშნულ საწარმოთა კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

12. ნება დართონ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებს, რომელთათვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა დაფინანსება ერთეული ფასდების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვებოდ), ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, — სტიქიური უბედურების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

13. შეიტანონ შესწორებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეწველო და არასამრეწველო სახეობათა სახალხო-სამეურნეო გეგმებით დაწესებულ დავალებებში, სოფლის დასახლებული პუნქტების ქალაქის ტიპის დაბების ან ქალაქების კატეგორიაში გადაყვანისას, აგრეთვე ქალაქების საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით, მთლიანად რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეწველო და არასამრეწველო სახეობათა სამუშაოების მოცულობის ფარგლებში.

14. ნება დართონ, რომ საჭიროების შემთხვევაში გადიდდეს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოებისათვის

ინვენტარის შეძენისა და ამ ორგანოების შენობათა კაპიტალური რემონტის ხარჯები ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის და გასავალზე შემოსავლის თანხების გადამეტების ხარჯზე, რომლებიც რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში.

15. ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს და საოლქო აღმასკომებს (ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — საქალაქო აღმასკომებს და რაიაღმასკომებს) ჩამოწერონ, როგორც გამონაკლისი, ცალკეულ მსესხებლებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის იმ სესხთა უიმედო დავალიანება, რომლებიც გაცემულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

16. ნება დართონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ყოველწლიურად ხარჯონ საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების 10 პროცენტამდე იმისათვის, რომ შეიქმნას და შეივსოს საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომმარაგებელი კანტორების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სარემონტო კანტორებისა, სარემონტო-სამშენებლო ტრესტების, საშენ მასალათა და დეტალების დამამზადებელი საწარმოების ძირითადი (გარდა საცხოვრებელი სახლების და საერთო საცხოვრებლების მშენებლობისა) და საბრუნავი სახსრები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საბინაო ფონდის რემონტისათვის, აგრეთვე სახლმმართველობათა სახელოსნოებისა და სასადგომო საწყობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, და მათთვის სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესაძენად.

17. ნება დართონ, რომ ცალკეულ შემთხვევებში უფასოდ ჩატარდეს ხელით სამართავი იმ ავტომობილების კაპიტალური რემონტი, რომლებიც შეღავათიან ფასებში მიიღეს სამამულო ომის ინვალიდებმა და სხვა ინვალიდებმა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილების გამოცემამდე, იმ სახსრების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით სოციალური უზრუნველყოფისათვის.

18. დაადგინონ წესი იმ შემოსავლის განაწილებისა, რაც პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მიიღეს იმ სამუშაოებისაგან, რომლებიც მოსწავლეებმა შეასრულეს საწარმოო სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, ისე, რომ მოსწავლეებს შეუნარჩუნდეთ გასამრჯელოს მიცემა მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის, აღნიშნული შემოსავლის ერთი მესამედის რაოდენობით.

19. ნება დართონ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების ახლადმოწყობილი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს (საწარმოს მოწყობიდან 8 თვის განმავლობაში) იჯარით აიღონ ცალკეულ შემთხვევებში მოქალაქეები-

საგან საცხოვრებელი სადგომები სპეციალისტთა მოსათავსებლად იმ ვარაუდით, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ დაწესებული ბინის ქირის განაკვეთებს დაემატოს თვეში არა უმეტეს 3 მანეთისა ერთ სპეციალისტზე და რომ ეს ხარჯები მიეკუთვნოს შესაბამისი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

20. გადაიყვანონ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების მოქმედი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მეურნეობის დარგების მიხედვით, რომლებშიაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით გატარებულია ხელფასის მოწესრიგება, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში, მათი წარმოების (მუშაობის) მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელონ დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განაწილებისა შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით, ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში.

დამტკიცებული მაჩვენებლების უქონლობისას გადაიყვანონ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების მოქმედი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში; საწარმოები — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციები და დაწესებულებები — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

21. დაამტკიცონ (რაც შემდგომ აცნობონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს) შრომის დაწესებული გეგმის გადამეტებით:

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების (მთავარი სამმართველოების) ქვესაუწყებო სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკების რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რომლებიც ასრულებენ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების შენობათა და ნაგებობათა რემონტის სამუშაოებს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ სამუშაოებზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს არანაკლებ 4 პროცენტისა;

ადგილობრივი საავტომობილო გზების რემონტის იმ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რომლებიც ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 26 ნოემბრის № 1281 დადგენილების შესაბამისად მოზიდული სახსრებისხარჯზე.

22. დაუწესონ საჭიროების შემთხვევაში, თუ მოიპოვება მომსახურების დამტკიცებული, რესპუბლიკისათვის ერთიანი ნორმები ან ნორმირებული საწარმოო დავალებანი, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა დროებლივ მუ-

შებს, რომლებიც უშუალო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ), შესაბამისი დარგის მენარდე მუშებისათვის გათვალისწინებული სატარიფო განაკვეთები, მოცემულ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელფასის ფონდის ფარგლებში.

23. ნება დართონ ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს დაუწესონ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან და პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს, სატარიფო სარგოს ნაცვლად, განაკვეთები თვეში 200 მანეთამდე (მაგრამ არა უმეტეს ოსტატების თანამდებობრივი განაკვეთებისა 30%-იანი დანამატის გათვალისწინებით) საწარმოს ხელფასის გეგმიანი ფონდის ფარგლებში და ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ამ ფონდის არა უმეტეს 0,2 პროცენტისა.

24. ნება დართონ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეუნარჩუნონ ცალკეულ შემთხვევებში კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, როდესაც ისინი გადაყვანილი იქნებიან ახლადამუშავებულ საწარმოებში რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა საწარმოებიდან, საშუალო ხელფასი წარმოების ათვისების პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, თუ ხელფასი ახალ სამუშაო ადგილზე იმ ხელფასზე ნაკლებია, რასაც ისინი წინანდელ სამუშაო ადგილზე იღებდნენ.

25. ნება დართონ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დააწესონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა გამოკლებით, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ), მუშათა შესაბამისი კატეგორიების ნაკლებობისას მუშათა ცალკეული პროფესიების ნუსხები, რომლებსაც აქვთ პროფესიების შეთავსების უფლება, ისე, რომ დაემატოს შეცვლილი მუშის სატარიფო სარგოს ან განაკვეთის 30%-მდე, ხელფასის ფონდის ეკონომიის იმ ნაწილის გამოყენების ხარჯზე (რაც გადაანგარიშებულია გეგმის შესრულების პროცენტზე), რომელიც მიღებულია ამ პროფესიების მუშათა რაოდენობის შემცირების დროს, დაწესებული ნორმატივების მიხედვით კუთვნილ რაოდენობასთან შედარებით.

26. შეიტანონ, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედ ტიპობრივ ნუსხებში მუშათა პროფესიები და სამუშაოები, რომელთა ანაზღაურება ხდება იმ მუშებისათვის დაწესებული სატარიფო განაკვეთებით, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ და მძიმე სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, შრომის განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე, — დამატებით სხვა პროფესიები და სამუშაოები იმ პროფესიებისა და სამუშაოების

შრომის პირობების მიხედვით ანალოგიური, რომლებიც ჩამოთვლილია პროფესიებისა და სამუშაოთა ტიპობრივ ნუსხებში შესაბამისი დარგების კვალობაზე.

27. დააწესონ პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების ცალკეული ჯგუფების მუშაკთა სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეჟიმი ისე, რომდაცულ იქნას სამუშაო დროის საერთო ხანგრძლიობა, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

28. დააწესონ პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით სამუშაოთა დროის შეჯამებული აღრიცხვა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, ორგანიზაციებში (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებებში, რომლებიც უშუალო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

29. ნება დართონ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აწარმოონ მუშაკთა მიღება არასრული სამუშაო დღის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ მათი შრომა ანაზღაურდეს ფაქტიურად ნამუშევარი დროის მიხედვით, დაწესებული განაკვეთების (სარგოს) ან სანარდო შეფასებათა საფუძველზე.

30. დაამტკიცონ, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, არანორმირებული სამუშაო დღის მქონე იმ მუშაკების თანამდებობათა ნუსხა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებისთვისაც დამატებითი შვებულების ხანგრძლიობას, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, აწესებს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

31. დაამტკიცონ, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით ნუსხა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა, რომლებშიაც მუშებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეძლევათ დამატებითი სამდღიანი შვებულება მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის პროფესიების იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად.

32. ნება დართონ რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს და მოკავშირე რესპუბლიკების უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აძლიონ საჭირო შემთხვევებში საწარმოების, ორგანიზაციების (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებების მუშაკებს (სამინისტროების, უწყებების და აღმასკომების აპარატის ჩათვლით), მუშაკთა თხოვნით, მოკლევადიანი უხელფასო შვებულება.

33. შეიტანონ, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების

და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებს იმ მუშაკთა თანამდებობების ნუსხაში, რომლებთანაც შეიძლება დაიდოს წერილობითი ხელშეკრულებანი იმ მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მიღებულია მუშაკის პასუხისმგებლობით შესანახად ან სხვა მიზნებისათვის.

34. გაათავისუფლონ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების ცალკეული საწარმოები, რომელთა ხელფასის ფონდი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, — ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის ანაზღაურებისაგან, რესპუბლიკისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

35. ნება დართონ, რომ მიღებულ იქნას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 25 წლის ასაკამდე პირები თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, აგრეთვე იმ პირთა რიცხვიდან, რომლებმაც წინათ დაამთავრეს სრული და არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, იმ მიზნით, რომ მომზადებულ იქნან კვალიფიციური მუშები ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებზედაც აკრძალულია იმ პირთა შრომის გამოყენება, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, ამასთან დააწესონ აღნიშნული მოსწავლეებისათვის მათი სურვილისამებრ (უფასო კვებისა და ტანსაცმლის ნაცვლად) სტიპენდიები ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის გათვალისწინებული რაოდენობით.

36. ნება დართონ უტყეო და მცირეტყიანი რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს აწარმოონ მრავალტყიანი რაიონების ტყეებში ტრასების გაკაფვა ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზებისა, გზებისა, გაზსადენებისა და ნავთსადენებისათვის, იმ ანგარიშით, რომ დამზადებული მერქანი გამოყენებულ იქნას საკუთარი საჭიროებისათვის, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანადაც.

37. ნება დართონ სატყეო მეურნეობის საოლქო (სამხარეო) სამმართველოებს, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკის სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ორგანოებს განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუცვალონ მესამე ჯგუფის ტყეებში ხე-ტყის დამამზადებლებს ტყესაკაფები, რომელთა ჭრა არ დაწყებულა, სხვა ტყესაკაფებით ისე, რომ განმეორებით არ გადაახდევინონ საძირკვო გადასახადი.

38. ნება დართონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიჰყიდონ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების და იმ სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეებსა და მათს შვილებს, — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის მიღე-

ბული საქმიანი ნამატის 3 პროცენტამდე, მოქმედ ჩასაბარებელ ფასებში დაწესებული დანამატებით.

39. მთლიანად და ნაწილობრივ გაათავისუფლონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ცალკეული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იმისაგან, რომ გადასცენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი ახლადაშენებულ საცხოვრებელ სახლებში.

40. დაადგინონ წესი იმ სახლების სიების დამტკიცებისა, რომლებიც ეკუთვნით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებს და რომელთა მიყიდვა განზრახულია მათში მცხოვრები ერთი მობინადრისათვის ან მობინადრეთა ჯგუფისათვის.

41. დაადგინონ წესი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკის უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ქვესაუწყებო ბიბლიოთეკების, სკოლების, საბავშვო სახლების, სავაჭრო საწარმოების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, სასწავლებლების და უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების საერთო საცხოვრებლების შენობათა და ნაგებობათა გამოყენებისა იმ შემთხვევებში, თუ ამ დაწესებულებებსა და საწარმოებს მიეცემათ სხვა თანაბარფასოვანი შენობები და სადგომები.

* * *

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით შეასრულოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ურთიერთშეთანხმების, სიმრავლის აღმოფხვრისა და კოდიფიკაციის სამუშაოები, რომლებიც შეეხება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად, და შესაბამისი წინადადებანი წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XI-1967 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108/16
ქაღალდი 11200, ნაბეჭდი თაბახი 4,0 სააღრიცხვო თაბახი 4,3

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა № 1203 ტირაჟი 2800

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ინდექსი — 76187

6110/2

ᲝᲜᲓᲔᲙᲚᲘ — 76187